"ქართული ოცნების" პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი იქნება



კოალიცია "ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის. სხდომა პარტიის ცენტრალურ ოფისში მიმდინარეობდა. დღესვე სხდომაზე პარტიაში 500 ახალი წევრის მიღებაზეც იმსჯელეს.

"საბჭოს წევრების თითქმის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა, რომ პრემიერ-მინისტრი იყოს პირველი პირი ასევე პარტიისა, რაც პარტიას გაუადვილებს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას და მთავრობა იქნება ანგარიშვალდებული "ქართული ოცნების", საქართველოს მოსახლეობისა და პარლამენტის წინაშე. ეს არის ყველაზე კარგი გზა კომუნიკაციისათვის, მმართველი პარტიისთვის, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარ თავზე აიღოს ის პასუხისმგებლობები, რაც აქვს "ქართულ ოცნებას" თავისი პროგრამით აღებული მოსახლეობის წინაშე. ამიტომ ეს არის ძალიან გონივრული გადაწყვეტილება", - განაცხადა უმრავლესობის წევრმა ელისო ჩაფიძემ.

1 / 1